დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ132.1322218219**

თარიღი:**01/07/2022**

დუშეთის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დეგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის შექმნისა და სამუშაო ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებებზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შეიქმნას დუშეთის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დეგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე ჯგუფების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ვასილ წიკლაური - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;

ბ) თამილა ნადირაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის მ/შ, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) ანნა კაკალაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი დასაქმებისა და სოციალური დაცვის სფეროში, სამუშაო ჯგუფის წევრი;

დ) მარინა კაიშაური - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ე) ნონა აფციაური - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ბავშვთა და ოჯახის სოციალური მუშაკი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ვ) ნინო ჭინჭარაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ფსიქოლოგი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ზ) მარიამ ავლახაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული სოციალური მუშაკი, სამუშაო ჯგუფის წევრი, მდივანი - სამუშაო ჯგუფის სხდომას აფორმებს ოქმის სახით;

თ) მარიამ ბედუკაძე - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სამართლებრივი

უზრუნველყოფის საკითხებში, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ი) თამარ კავთელიშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დაგეგმვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ფინანსისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

2. სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დეგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის ჩატარება, ამ ბრძანებით დამტკიცებული სამიზნე ჯგუფების მიხედვით:

•„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი (სტატუსის მქონე/სტატუსის არმქონე), აგრეთვე განვითარების სირთულის მქონე ბავშვი“

•სამიზნე ჯგუფი „მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვი (მ.შ.: ობოლი ან მარჩენალდაკარგული ბავშვი, მშობლის მიგრაციის გამო ნათესავებთან დროებით მცხოვრები ბავშვი)“

•სამიზნე ჯგუფი „ბავშვი ღარიბი ოჯახიდან, რომლის მშობელი/მეურვე არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“;

•სამიზნე ჯგუფი „ღარიბი ბავშვიანი ოჯახი (სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე/ სტატუსის არმქონე) და ღარიბი მრავალშვილიანი ოჯახი“;

•სამიზნე ჯგუფი „ტერიტორიული მოწყვეტილობის გამო განათლების და ჯანდაცვის სერვისებზე შეზღუდული წვდომის მქონე ბავშვი“.

3. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარეს მიენიჭოს უფლებამოსილება, სამუშოა ჯგუფის შემადგენლობაში დამატებით წევრად და სათათბირო ხმის უფლებით მოიწვიოს დაინტერესებული მხარის წარმომადგენელი, ექსპერტი ან კონსულტანტი;

4. დამტკიცდეს დროებითი სამუშაო ჯგუფის დებულება დანართი N1-ის შესაბამისად;

5. დამტკიცდეს მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დეგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის მეთოდოლოგიის დოკუმენტი დანართი N2-ის შესაბამისად;

6. დამტკიცდეს საჭიროებათა კვლევის კალენდარი დანართი N3-ის შესაბამისად;

7. მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დეგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის ანგარიშის წარდგენის ვადად განისაზღვროს მიმდინარე წლის 1 აგვისტო;

8. საჭიროებათა კვლევის პროცესში პერონალურ მონაცემთა დამუშავების სტანდარტების დაცვაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;

9. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად;

10. ეს ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17) კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

11. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

დანართი N1

დუშეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დეგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1.წინამდებარე დებულება განსაზღვრავს დუშეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დეგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის (შემდეგში „სამუშაო ჯგუფი“) საქმიანობის წესს.

1.2.„სამუშაო ჯგუფი“ წარმოადგენს მერიის დროებით სამუშაო ჯგუფს, რომლის დანიშნულებაა დუშეთის მუნიციპალიტეტში სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის ხელშეწყობისთვის სამიზნე ჯგუფის ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების შესწავლისა და გამოვლენის მიზნით საჭიროებათა კვლევის ჩატარება.

მუხლი 2. სამართლებრივი საფუძვლები

სამუშაო ჯგუფი ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს კანონით „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ” საქართველოს კანონით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 3. სამუშაო ჯგუფის ამოცანები და ფუნქციები

სამუშაო ჯგუფის ამოცანაა:

3.1.დუშეთის მუნიციპალიტეტში სამიზნე ჯგუფების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის ჩატარება, დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად;

3.2.სამიზნე ჯგუფების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების იდენტიფიცირება და ამ საჭიროებების წარმომქმნელი ფაქტორების ანალიზი;

3.3.ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და დასაგეგმი მუნიციპალური სოციალური პროგრამების ძირითადი მიმართულებების გამოკვეთა;

მუხლი 4. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა

4.1.სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას ბრძანებით განსაზღვრავს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი;

4.2.სამუშაო ჯგუფი შედგება 9 წევრისაგან.

4.3.სამუშაო ჯგუფის საქმიანობას ხელმძღვანელობს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, რომელიც საერთო კოორდინაციას უწევს საჭიროებათა კვლევის პროცესს, უნაწილებს ფუნქციებს და აძლევს დავალებებს სამუშაო ჯგუფის წევრებს;

4.4.სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში არ შედიან მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები, თუმცა, ისინი უწევენ ტექნიკურ დახმარებას სამუშაო ჯგუფს, ასრულებენ სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის დავალებებს და მონაწილეობენ თავის სამოქმედო ტერიტორიაზე სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების გამოვლენასა და იდენტიფიცირებაში, უშუალოდ ატარებენ კვლევის საველე (შეხვედრა და ინტერვიუ სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლებთან) სამუშაოებს.

მუხლი 5. სამუშაო ჯგუფის საქმიანობის წესი და უფლებამოსილება

5.1.სამუშაო ჯგუფი იკრიბება პერიოდულად, საჭიროების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ.

5.2.სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სამუშაო ჯგუფის წევრთა ნახევარზე მეტი.

5.3.სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელს უფლება აქვს სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით მოიწვიოს დარგის სპეციალისტები და ექსპერტები, დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები, სოციალურ და ბავშვის უფლებათა დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

5.4.სამუშაო ჯგუფის სხდომა ფორმდება ოქმის სახით, რომელშიც უნდა მიეთითოს:

ა) სხდომის ჩატარების დრო და ადგილი;

ბ) სხდომაზე დამსწრეთა ვინაობა (მ.შ. სათათბირო ხის უფლებით მოწვეული პირების ვინაობა);

გ) განსახილველი საკითხების ჩამონათვალი და აღწერა;

დ) სხდომაზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები (დავალების გაცემა/შესრულება) და განსხვავებული მოსაზრება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

5.5.სხდომის ოქმს ხელმოწერით ადასტურებენ სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.

მუხლი 6. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე

6.1.ხელმძღვანელობს სამუშაო ჯგუფის მუშაობას, იწვევს და უძღვება სხდომებს და სამუშაო შეხვედრებს;

6.2.წარმოადგენს სამუშაო ჯგუფს და ჯგუფის სახელით აწარმოებს მიმოწერას;

6.3.დავალებებს აძლევს სამუშაო ჯგუფის ცალკეულ წევრებს და აკონტროლებს მათ შესრულებას;

6.4.საჭიროებათა კვლევის მიზნებისთვის დავალებებს აძლევს მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულში და აკონტროლებს მათ შესრულებას;

6.5.სამუშაო ჯგუფის სხდომებსა და შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად სათათბირო ხმის უფლებით იწვევს დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებს, შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტებსა და ექსპერტებს;

6.6.პასუხისმგებელია და აკონტროლებს საჭიროებათა კვლევის ჩატარების პროცესში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვას.

მუხლი 7. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე

7.1.ასრულებს სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის დავალებებს.

7.2.სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ხელმძღვანელობს სამუშაო ჯგუფის შეხვედრას და ახორციელებს თავმჯდომარის უფლებამოსილებას.

მუხლი 8. სამუშაო ჯგუფის წევრის უფლება-მოვალეობები

8.1.სამუშაო ჯგუფის წევრი ვალდებულია დაესწროს სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს, კეთილსინდისიერად და დროულად შეასრულოს სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის დავალებები და მასზე დაკისრებული ფუნქციები, საჭიროების შემთხვევაში წარადგინოს წერილობითი ანგარიში/ინფორმაცია დავალებების შესრულების შესახებ;

8.2.სამუშაო ჯგუფის წევრი უფლებამოსილია სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე განსახილველად წამოაყენოს საკითხები და წინადადებები, მოითხოვოს პრინციპულად განსხვავებული მოსაზრების ოქმში ასახვა;

8.3.სამუშაო ჯგუფის სხდომებს მდივანი აფორმებს ოქმის სახით;

მუხლი 9. სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა და ტექნიკური მხარდაჭერა

11.1. სამუშაო ჯგუფის წევრები თავის საქმიანობას ახორციელებენ სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ.

11.2. სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ტექნიკურ და ორგანიზაციულ დახმარებას სამუშაო ჯგუფის ხელმძრვანელის მიმართვის საფუძველზე უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური.

მუხლი 10. დებულების შეცვლა

წინამდებარე დებულების ცვლილებებსა და დამატებებს, აგრეთვე დებულების ახალ რედაქციას ამტკიცებს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი, შესაბამისი ბრძანებით.

მუხლი 11. დებულების მოქმედების ვადა

სამუშაო ჯგუფის წინამდებარე დებულება ძალაშია დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანების დამტკიცების დღიდან და მოქმედებს სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე.

დანართი 2

ადგილობრივ დონეზე სოციალური პოლიტიკისა და სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები

სარეკომენდაციო დოკუმენტი

შინაარსი

1. შესავალი: საჭიროებათა კვლევის მნიშვნელობა
   · დაგეგმვის არსებული პრაქტიკა, მისი ნაკლოვანებები
   · მონაწილეობითი დაგეგმვის უპირატესობები
   · კვლევა, როგორც დაგეგმვის მყარი საფუძველი

2. საჭიროებათა კვლევის მეთოდოლოგიის ზოგადი აღწერა
   · მეთოდოლოგიის მოკლე აღწერა და მიდგომები
   · კვლევის მოცულობა - კვლევა/ დამატებითი კვლევა
   · კვლევის ტექნიკის და ინსტრუმენტების ზოგადი მიმოხილვა
   · საჭიროების ცნება და სახეები

3. 1. საჭიროებათა კვლევის პროცესის და ეტაპების აღწერა

   1.1. მოსამზადებელი ეტაპი:
      · საჭიროებათა კვლევის ინიცირება
      · სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრა, საქმიანობის წესისა და კალენდრის შემუშავება
      · სამიზნე ჯგუფების და დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება
   1.2.კვლევის ეტაპი:
      · კვლევის ჩატარება მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენებით
      · მიღებული მონაცემების სისტემატიზაცია და ზოგადი ანალიზი
      · კვლევის ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვა
   1.3.საჭიროებათა კვლევის შედეგების გაცნობა დაინტერესებული მხარეებისთვის, საჯარო განხილვა, უკუკავშირი

2. საჭიროებათა კვლევის ანგარიშის საჯაროობა

3. დოკუმენტის დანართები:

· დანართი #1: სამუშაო ჯგუფის დებულება
· დანართი #2: სამუშაო ჯგუფის მიერ საჭიროებათა კვლევის ჩატარების ინსტრუქცია
· დანართი #3: კვლევის ეტაპების კალენდარი
· დანართი #4: პირველადი აღრიცხვის ფორმა, აღრიცხვის შემაჯამებელი ფორმა
· დანართი #5: რესპონდენტთა გამოკითხვის ანკეტა
· დანართი #6: პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ინსტრუქცია
· დანართი #7: კვლევის ანგარიშის სტრუქტურა

დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისთვის, ქვემოთ გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

· **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი -** 18 წლის ასაკამდე პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში;

· **განვითარების დარღვევის მქონე ბავშვი -** 18 წლის ასაკამდე პირი, რომელსაც არ აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, მაგრამ აქვს გამოხატული ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევა, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში;

· **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი -** პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში;

· **სოციალურად დაუცველი პირი -** ფიზიკური პირი, რომელიც სახელმწიფოსგან იღებს დახმარებას ელემენტარული ცხოვრებისეული პირობების შესაქმნელად. სოციალურად დაუცველ პირებს მიეკუთვნებიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები;

· **ღარიბი ოჯახი –** განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრები პირი ან პირთა წრე, რომელიც ეწევა ერთობლივ შინასამეურნეო საქმიანობას და რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ დონეზე ნაკლებია;

· **მიუსაფარი ბავშვი** - ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე არასრულწლოვანი;

· **ობოლი ბავშვი -** 18 წლის ასაკამდე პირი, რომელსაც გარდაცვლილი ჰყავს ორივე ან ერთადერთი მშობელი;

· **მარჩენალდაკარგული ბავშვი -** ერთ-ერთი ან ორივე გარდაცვლილი მშობლის შვილი (შვილები) 18 წლის ასაკის მიღწევამდე, რომელსაც ენიშნება სოციალური პაკეტი მარჩენალის გარდაცვალების გამო;

· **რეინტეგრირებული ბავშვი -** 18 წლის ასაკამდე პირი, რომელიც ბავშვთა სახლიდან, მცირე საოჯახო ტიპის სახლიდან ან მინდობითი აღზრდიდან ბრუნდება ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვე/მზრუნველთან;

· **მრავალშვილიანი ოჯახი -** ოჯახი 4 ან მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვით.

შესავალი

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მხარდაჭერის მიზნით, თვითმმართველი ერთეულები ყოველწლიურად შეიმუშავებენ და ახორციელებენ სოციალურ და ჯანდაცვის მუნიციპალურ პროგრამებს. 2020 წლამდე აღნიშნული პროგრამების დაგეგმვა და შესრულება ძირითადად

ხდებოდა მუნიციპალიტეტის ინიციატივით, ნებაყოფლობით განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში. 2018-2020 წლებში „ბავშვის უფლებათა კოდექსის“, „სოციალური მუშაობის შესახებ“ და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონების თანახმად, გაიზარდა მუნიციპალიტეტის, როგორც მოსახლეობასთან ყველაზე ახლოს მდგომი ხელისუფლების ფუნქცია და როლი ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური დაცვის სფეროში. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტორი სოციალური პოლიტიკის ერთიან ეროვნულ სისტემაში. წინამდებარე მეთოდოლოგია შესაძლებელია გამოყენებული იყოს მუნიციპალიტეტის როგორც საკუთარი, ასევე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, ბავშვზე ფოკუსირებული სოციალური პოლიტიკის და ადგილობრივი სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოსახლეობის სოციალური საჭიროებების გამოსავლენად.

1. საჭიროებათა კვლევის მნიშვნელობა: დაგეგმვის არსებული პრაქტიკა, მისი ნაკლოვანებები. მონაწილეობითი დაგეგმვის უპირატესობები; კვლევა, როგორც დაგეგმვის მყარი საფუძველი

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, საქართველოს მუნიციპალიტეტებში ყოველწლიურად მტკიცდება მუნიციპალური სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები და ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები. გაეროს ბავშვთა ფონდისა და ევროკავშირის მხარდაჭერით ჩატარებული კვლევის თანახმად, 2014-2016 წლების მონაცემებზე დაყრდნობით, მუნიციპალიტეტების ნაერთი ბიუჯეტის საშუალოდ 14-15% იხარჯება ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებზე. მუნიციპალიტეტების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ მხარდაჭერაში ჩადებული ძალისხმევის მიუხედავად, მიღებული შედეგი ხშირად არ არის დახარჯული ფინანსური რესურსის პროპორციული, აღნიშნული გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

· არ არსებობს ადგილობრივი სოციალური პოლიტიკის დოკუმენტები - შემუშავებული და განხორციელებული პროგრამები არაა მიბმული ადგილობრივი პოლიტიკის ფორმირების და აღსრულების პროცესთან. შესაბამისად, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება დაგეგმილი და განხორციელებული პროგრამების როგორც მიზანმიმართულება და საჭიროება, ასევე სოციალური პოლიტიკის სისტემურობა, თანმიმდევრულობა და მდგრადობა;

· ადგილობრივი პროგრამების შემუშავება ნაკლებად ემყარება სოციალური საჭიროების შეფასების, პრიორიტეტების დადგენისა და საჭიროებათა იდენტიფიცირების პროცესში მიზნობრივი ჯგუფების ჩართვის უნიფიცირებულ მეთოდოლოგიას;

· მუნიციპალური პროგრამები მოიცავს იმ მოქალაქეთა მხოლოდ ნაწილს, ვისაც სჭირდება დახმარება, რადგან მუნიციპალური სოციალური პროგრამების ბენეფიციართა წრის დასადგენად უმეტეს შემთხვევაში გამოიყენება სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ბენეფიციარისთვის მინიჭებული ქულები. შესაბამისად, თუ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოქალაქე არ არის რეგისტრირებული სახელმწიფო სოციალური დახმარების მიმღებად, იგი ხშირ შემთხვევაში ვერ სარგებლობს მუნიციპალური სოციალური პროგრამების უმრავლესობით;

· ხშირად, პროგრამების ბენეფიციართა საპროგნოზო ოდენობის დადგენა ეფუძნება წინა წლის გამოცდილებას და მიმართვიანობას, ამიტომ სამიზნე ჯგუფის საჭიროებებზე მუნიციპალიტეტში არსებული ინფორმაცია შემოიფარგლება მხოლოდ უკვე არსებულ პროგრამებზე მიმართვიანობით და როგორც სამიზნე ჯგუფების სხვა საჭიროებები, ასევე სამიზნე ჯგუფის ის ნაწილი, რომელიც ვერ ახერხებს მიმართვას, გამორჩენილია თვალთახედვიდან;

· ხშირია მუნიციპალური და სახელმწიფო პროგრამებით გაცემული დახმარებების დუბლირება;

· მუნიციპალიტეტებს არ გააჩნიათ შესაბამისი ადამიანური რესურსი ბავშვზე მორგებული სოციალური პროგრამების შემუშავებისთვის. მუნიციპალიტეტების ნაწილში შექმნილია ბავშვის უფლებათა დაცვის მეორადი სტრუქტურული ერთეული (განყოფილება), თუმცა მათ ნაკლებად აქვთ მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის პრაქტიკული გამოცდილება;

ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ საჭიროებაზე მორგებული დაგეგმვის მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების შემუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობის გარეშე, შეუძლებელი იქნება მუნიციპალიტეტებში ეფექტიანი და ადგილობირვი მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკის გატარება.

ზოგადად, ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალურ პოლიტიკას ეფექტიანს ხდის პოლიტიკის/ პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების სისტემური, თანმიმდევრული, უწყვეტი და გამჭვირვალე პროცესი. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საქმიანობა სოციალურ სფეროში საჭიროებს სისტემურ მიდგომას - პრიორიტეტებისა და ამოცანების განსაზღვრას, პოლიტიკის ჩამოყალიბებას, პროგრამების შემუშავებას, განხორციელებასა და შეფასებას. შესასრულებელი ამოცანების სწორად განსაზღვრისთვის აუცილებელია, რომ მუნიციპალიტეტი ფლობდეს სრულ, სანდო და გარკვეული პერიოდულობით განახლებად ინფორმაციას მიზნობრივი ჯგუფის საჭიროებათა შესახებ. სწორედ ასეთი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას იძლევა საჭიროებათა კვლევა, რომლის შედეგების სიზუსტეს განაპირობებს მიზნობრივი ჯგუფების, ადგილობრივი თემის წარმომადგენლების, სოციალურ სფეროში მომუშავე ადგილობრივი

არასამთავრობო სექტორისა და ყველა სხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობა კვლევის პროცესში.

საჭიროებათა კვლევა არის მონაწილეობითი დაგეგმვის პროცესის ნაწილი, რომლის მიზანია მოწყვლადი ჯგუფებისა და ადგილობრივი თემის საჭიროებათა გამოვლენა და იგი წარმოადგენს მტკიცებულებაზე დამყარებული სოციალური პოლიტიკის საფუძველს. საჭიროებათა იდენტიფიცირების პროცესში სამიზნე ჯგუფებთან, ადგილობრივი თემის წარმომადგენლებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია ხელს უწყობს ერთი მხრივ, საჭიროებაზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავებას, ხოლო, მეორე მხრივ, ამაღლებს მუნიციპალიტეტის მოხელეთა ინფორმირებულობას ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების, მათი გამომწვევი მიზეზების, მოსახლეობის მოლოდინების შესახებ და ზოგადად, ზრდის ნდობას ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი პოლიტიკის დოკუმენტის თუ პროგრამის წარმატება, სხვა ფაქტორებთან ერთად, დიდწილად დამოკიდებულია დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობაზე - ადგილობრივი მოსახლეობის, სამიზნე ჯგუფებისა და სოციალურ სფეროში მომუშავე არასამთავრობო სექტორის მონაწილეობით განხორციელებული დაგეგმვის პროცესი უზრუნველყოფს რელევანტური და ეფექტიანი პროგრამებისა და სერვისების მიწოდებას, ფინანსური რესურსების რაციონალურ, შედეგიან და გამჭვირვალე ხარჯვას.

2. საჭიროებათა კვლევის მეთოდოლოგიის ზოგადი აღწერა

საჭიროებათა კვლევის შემოთავაზებული მოდელი ეფუძნება EU მეთოდოლოგიას, რომელიც წარმატებით გამოიყენება EU ფონდების და EU წევრი სახელმწიფოების მიერ, სოციალური პროექტების შემუშავებისთვის. აღნიშნული მეთოდოლოგია გვთავაზობს საჭიროების კვლევისადმი კომპლექსურ მოდგომას, რომელიც გულისხმობს, როგორც სამიზნე ჯგუფების საჭიროებების გამოვლენას, ასევე მათ დანახვას ადგილობრივი თემის საჭიროებების კონტექსტში. შესაბამისად, ზოგად საჭიროებებზე რეაგირება შესაძლებელია საერთო სოციალური პროგრამების მეშვეობით, ხოლო განსაკუთრებულ საჭიროებებზე საპასუხოდ უნდა დაინერგოს სპეციალური პროგრამები.

საჭიროებათა კვლევის შედეგად:

· განისაზღვრება მიზნობრივი/მოწყვლადი ჯგუფები;

· გამოიკვეთება მიზნობრივი ჯგუფის საჭიროებანი;

· მოხდება საჭიროებათა რანგირება (პრიორიტეტიზაცია);

· მოხდება საჭიროებათა წარმომქმნელი ფაქტორების ანალიზი;

· გამოიკვეთება სოციალური პოლიტიკის მიმართულებები;

· შემუშავდება საჭიროებაზე დაფუძნებული მუნიციპალური პროგრამები;

როგორც ირიბი შედეგი, ხელი შეეწყობა საჭიროების მქონე პირთა მიმართვიანობის გაზრდას სტატუსის მიღების მიზნით.

მეთოდოლოგიის მთავარი შემადგენელი ელემენტი არის **სამიზნე/მოწყვლადი ჯგუფების სწორად იდენტიფიცირება** და კვლევის პროცესში **მათი ჩართულობის უზრუნველყოფა.**

საჭიროებათა კვლევისას მნიშვნელოვანია კომუნიკაცია როგორც სამიზნე ჯგუფების, ასევე ადგილობრივი თემის წარმომადგენლებთან. სასურველია, მოხდეს მოწყვლადი ჯგუფების საჭიროების იდენტიფიკაცია და დადგინდეს თანხვედრა სამიზნე ჯგუფების საჭიროებებსა და კონკრეტული დასახლების მოსახლეობის საერთო საჭიროებებს შორის. ეს ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს მუნიციპალური სოციალური პოლიტიკის ჰარმონიზაციას, ხოლო მეორე მხრივ, გაზრდის ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობას მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების შესახებ.

წინამდებარე დოკუმენტში აღწერილი მეთოდოლოგიის და ინსტრუმენტების გამოყენებით შესაძლებელია ჩატარდეს როგორც **ძირითადი კვლევა**, ასევე **დამატებითი კვლევა**. **ძირითადი კვლევა** გულისხმობს ამ მეთოდოლოგიაში ჩამოთვლილი ძირითადი სამიზნე ჯგუფების (ასევე, საჭიროების შემთხვევაში - მუნიციპალიტეტის მიერ დამატებით განსაზღვრული სამიზნე ჯგუფების) საჭიროებათა ჩაღრმავებულ შესწავლას, მინიმუმ ხუთი შერჩეული სამიზნე ჯგუფისთვის. ძირითადი კვლევა ტარდება ამ მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ინსტრუმენტების გამოყენებით, შემდეგი მოდელის მიხედვით: 1) მონაცემების მოძიება და ანალიზი, 2) ლიტერატურის კვლევა, 3) სოციოლოგიური კვლევა (ონლიან-კითხვარი, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა), 4) დაკვირვება და შემთხვევათა ანალიზი).

ძირითადი კვლევის დანიშნულება არის ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და დასაგეგმი სოციალური პროგრამებისთვის პრიორიტეტების გამოკვეთა.

დამატებითი კვლევა შესაძლებელია ჩატარდეს ახალაღმოჩენილ გარემოებებთან დაკავშირებულ საჭიროებათა შესასწავლად, ან ახალი სამიზნე ჯგუფის საჭიროებებზე ინფორმაციის მიღების მიზნით. დამატებითი კვლევისას შესაძლებელია გამოყენებული იყოს გამარტივებული მიდგომა, რაც გულისხმობს კვლევის ინსტრუმენტების მხოლოდ ნაწილის, მაგალითად, მონაცემების ანალიზისა და სოციოლოგიური კვლევის (ონლაინ-კითხვარი, ინტერვიუ, შეხვედრა ფოკუს-ჯგუფთან) გამოყენებას.

დამატებითი კვლევის დანიშნულებაა საჭიროების შემთხვევაში, შეავსოს ან დააზუსტოს ძირითადი კვლევის შედეგად მიღებული ანფორმაცია.

მნიშვნელოვანია: საჭიროებათა კვლევის პროცესში დაცული უნდა იყოს კვლევის ეთიკური პრინციპები, მ.შ.: კვლევაში მონაწილეობის ნებაყოფილობითობა, კონფიდენციალურობა, ინფორმირებული თანხმობა, აზრის გამოხატვის თავისუფლება, კვლევის მონაწილეებისთვის მათი უფლებების გაცნობა, გენდერული ბალანსი და ეთნიკური უმცირესობების თანაბარი მონაწილეობა. ბავშვებთან კომუნიკაციის პროცესი უნდა იყოს დაფუძნებული ბავშვის პატივისცემასა და აზრის თავისუფალ გამოხატვაზე. ბავშვისთვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს ბავშვისთვის გასაგებად, მისი ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

მნიშვნელოვანია: მუნიციპალიტეტის მერი, მუნიციპალიტეტის სოციალურ სამსახურთან კონსულტაციით, დასახული ამოცანებისა და არსებული ადმინისტრაციული რესურსის გათვალისწინებით განსაზღვრავს საჭიროებათა კვლევის მოცულობას. მოცემული მეთოდოლოგიით სამიზნე ჯგუფების საჭიროებათა კვლევა მუნიციპალიტეტის დაკვეთით შესაძლებელია ჩაატაროს დამოუკიდებელმა ორგანიზაციამ.

<u>წარმატებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორები:</u>

- საჭიროებათა კვლევის ჩატარების პერიოდულობა ძირითადი კვლევისთვის სასურველია განისაზღვროს 4 წლით - ეს ხელს შეუწყობს სოციალური პროგრამების თანმიმდევრულ და საშუალოვადიან დაგეგმვას, დაზოგავს დროს და კვლევის რესურსს. დამატებითი კვლევა ტარდება საჭიროების შესაბამისად;
- საჭიროებათა კვლევის ამოცანის ჩამოყალიბება და მასზე დაყრდნობით კვლევის მოცულობის (ძირითადი ან დამატებითი კვლევა) განსაზღვრა უზრუნველყოფს კვლევის ფოკუსირებას კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებზე და კვლევის მაქსიმალურ ინფორმატიულობას;
- კვლევის მოცულობის განსაზღვრისას სასურველია შესაბამის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გათვალისწინება, რაც უზრუნვლყოფს მოლოდინების რეალურობას და ამოცანათა დაძლევადობას;
- კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფის შექმნა - საჭიროებათა კვლევა უნდა წარმართოს მერიის სოციალურმა სამსახურმა, ამავე დროს აუცილებელია ბავშვის უფლებების დაცვის სტრუქტურული ერთეულის და რელევანტური სამსახურების (იურიდიული, ადმინისტრაციული, ფინანსური სამსახური) წარმომადგენლების ჩართულობა, ასევე ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლების მონაწილეობა ინფორმაციის შეგროვების პროცესში;
- მნიშვნელოვანია შემუშავდეს საჭიროებათა კვლევის (მ.შ. საველე სამუშაოების) კონკრეტული გეგმა-გრაფიკი;
- საყურადღებოა, კვლევის ტექნიკისა და ინსტრუმენტების სწორი და თანმიმდევრული გამოყენება.

კვლევის ტექნიკა და ინსტრუმენტები

კვლევის ჰიპოტეზა ეფუძნება დაშვებას, რომ დღეს მოცემული ნორმატიული საჭიროებები არ მოიცავს სოციალური საჭიროებების სრულ სპექტრს და სასურველია, სოციალური პროგრამა პასუხობდეს სამიზნე ჯგუფის როგორც ნორმატიულ, ასევე გაცნობიერებულ და გამოთქმულ საჭიროებებს. წინამდებარე მეთოდოლოგიის კვლევითი ტექნიკა ემყარება თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების რაციონალურ და შეწონილ გამოყენებას, საჭიროებათა კვლევის ჰიპოთეზის შესაბამისად.

რაოდენობრივი კვლევის მეთოდი ემყარება ემპირიულ ანალიზს და ამ პროცესში მიღებული მონაცემები მეტწილად რიცხვითია, რაც საშუალებას იძლევა დადგინდეს შესასწავლი საკითხის მნიშვნელობა (მაგ. რამდენი გამოკითხული აღნიშნავს ამა თუ იმ საკითხის პრობლემურობას, აქტუალურობას) და მიზეზ-შედეგობრივი კავშირი შესასაწავლ ფენომენსა და სხვადასხვა ფაქტორებს შორის. ამ მეთოდის გამოყენებით მიიღწევა კონკრეტული, დაკავშირებადი, ზოგადი და განმეორებადი დასკვნები, რაც საშულებას გვაძლევს აღვწეროთ კვლევის ობიექტი და ავხსნათ მისი არსი.

თვისებრივი კვლევის მეთოდი ემყარება სოციალური ურთიერთქმედების გაგებას და ინტერპრეტაციას. ის აღწერს სოციალურ მოვლენათა პარამეტრებს, თემს და საზოგადოებას, მნიშვნელობას ანიჭებს კონტექსტს, რომელშიც მიმდინარეობს კვლევა. ეს მეთოდი განსაკუთრებით ეფექტიანია, როდესაც საკვლევი თემა ეხება სოციალურ და საზოგადოებრივ პროცესებს. შესაბამისად, ამ კვლევითი მეთოდის შედეგად გამოტანილი დასკვნები ასახავენ ინდივიდულაურ აღქმას და სოციალურ განზომილებას.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებში არსებული რეალობის, ფინანსური თუ ადმინისტრაციული შესაძლებლობების გათვალისწინებით, კვლევის ორივე მეთოდის ქვეშ შეირჩა ისეთი ინსტრუმენტები, რომლებიც ერთი მხრივ, მაქსიმალურად უზრუნველყოფს წინასწარ განსაზღვრული წყაროებიდან ინფორმაციის მიღებას და ანალიზის საფუძველზე შესაბამისი დასკვნების გამოტანას, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ინსტრუმენტების გამოყენება დაძლევადია მუნიციპალიტეტებისთვის. შერჩეული ინსტრუმენტებია: მონაცემების მოძიება და ანალიზი, ბიბლიოგრაფიული კველვა, სოციოლოგიური კვლევა, დაკვირვება და შემთხვევათა ანალიზი.

საჭიროებათა კვლევის ინსტრუმენტების ზოგადი აღწერა:

1. **მონაცემების მოძიება და ანალიზი** - სამიზნე ჯგუფების შესახებ სახელმწიფო, მუნიციპალურ, არასამთავრობო და სამოქალაქო სექტორში ხელმისაწვდომი მონაცემების დამუშავება, არსებული პროგრამებისა და მიმართვიანობის სტატისტიკის ანალიზი. ანკეტური გამოკითხვისა და პირისპირი ინტერვიუს გზით მონაცემების მიღება მიზნობრივი ჯგუფის რაოდენობის და შემადგენლობის შესახებ. ინფორმაცია მიიღება სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს, სოციალური მომსახურების სააგენტოს და მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურიდან, ასევე ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მეშვეობით.

2. **ლიტერატურის კვლევა** - საკუთარი თუ დამოუკიდებელი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების გაცნობა; სოციალური დაცვის სფეროში ცენტრალური ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციების და არასამთავრობო სექტორის ანგარიშების გაცნობა (წყარო: ინტერნეტი, გამოქვეყნებული მასალები), ნორმატიული ბაზის შესწავლა.

3. **სოციოლოგიური კვლევა** - მიზნობრივი ჯგუფის და ადგილობრივი თემის გამოკითხვა, მიზნობრივი ჯგუფის საჭიროებების და თემის სოციალური მახასიათებლების დასადგენად. სოციალური დაცვის, ბავშვთა დაცვის და სიღარიბის შემცირებაზე მომუშავე სამოქალაქო ორგანიზაციების, მათ შორის მშობელთა და ბავშვთა ორგანიზაციების წარმომადგენლების, ექსპერტების გამოკითხვა - ეს მოიცავს ღია კითხვარით მოსაზრებათა დადგენას, სატელეფონო ინტერვიუს, ფოკუს ჯგუფის შეხვედრას (წყარო: სამიზნე ჯგუფები და ადგილობრივი თემი, არასამთავრობო ორგანიზაციები და ექსპერტები. ანკეტური გამოკითხვა: რეპრეზენტაბელურობის ზღვარი - მიზნობრივი ჯგუფისთვის 1:10, ადგილობრივი თემის წარმომადგენლებისთვის 1:1000).

4. **დაკვირვება და შემთხვევათა ანალიზი** - სამუშაო შეხვედრები მუნიციპალიტეტის თანამშრომლების და სოციალური სერვისების მიმწოდებლებთან. გაწეული სერვისის სახეობათა, არსებულ და პერსპექტიულ სერვისებზე მოთხოვნის და მიწოდების შესაძლებლობების დადგენისთვის არსებული დოკუმენტებისა და პროაქტიკის შესწავლა. წყარო: სერვისის მიმწოდებლები, მუნიციპალიტეტის თანამშრომლები, სკოლამდელი განათლების და ზოგადი განათლების სისტემის წარმომადგენლები (სერვისის მიმწოდებელთა მხრიდან მიღებულ მონაცემთა ანალიზისას გასათვალისწინებელია ინტერესთა კონფლიქტის შესაძლებლობა).

ზემოაღწერილი ინსტრუმენტების გამოყენების თანმიმდევრობა ემთხვევა მათ რიგითობას, იწყება მონაცემთა შეგროვებით და მთავრდება შემთხვევათა ანალიზით.

აღნიშნული ოთხი ინსტრუმენტის გამოყენებით მიღებული ინფორმაციის დამუშავება მოხდება **მიზეზ-შედეგობირვი ანალიზის მეთოდით,** გამოიყოფა **საერთო,** (რომელიც თანაბრად ეხება მიზნობრივ ჯგუფს) და **განსაკუთრებული/კონკრეტული** (რომელიც მხოლოდ ჯგუფის შემადგენელ ცალკეულ სეგმენტებს ეხება) საჭიროებები. გაანალიზდება სოციალური, ინსტიტუციური, საზოგადოებრივი კონტექსტი და ჩამოყალიბდება დასკვნა შემდეგი სახით: ა) მიზნობრივი ჯგუფის საერთო საჭიროებანი და ბ) მიზნობრივი ჯგუფის შემადგენელი სეგმენტების განსაკუთრებული საჭიროებანი.

საჭიროებათა კვლევის პროცესში გაკეთებული დასკვნების ვალიდაციის მეთოდი - საჭიროებათა კვლევის პირველადი შედეგების გაცნობის და პრიორიტეტების გამოკვეთის მიზნით ფოკუს-ჯგუფი სამიზნე ჯგუფებთან და დაინტერესებულ მხარეებთან, განხილვა მერის მრჩეველთა საბჭოს ფორმატში და მათი მოსაზრების გათვალისწინებით საჭიროებათა კვლევის საბოლოო ანგარიშის შექმნა.

საჭიროებათა კვლევას წარმართავს მუნიციპალიტეტის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი (ეს შესაძლებელია იყოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, სოციალური სამსახურის უფროსი, ბავშვის დაცვის განყოფილების უფროსი), რომელიც ადგენს სამუშაოთა გეგმა-გრაფიკს, ანაწილებს ფუნქციებს, აძლევს დავალებებს სამუშაო ჯგუფის წევრებს და ზედამხედველობს მათ შესრულებას.

ამ მეთოდოლოგიის მიხედვით შემუშავებული საბოლოო ანგარიში წარედგინება მერს.

საჭიროების ცნების და სახეების ზოგადი მიმოხილვა

თავისი შინაარსით, საჭიროება არის მოწყვლადი/სამიზნე ჯგუფის მდგომარეობასა და ცხოვრების ღირსეულ პირობებს შორის არსებული სხვაობა და საჭიროებათა კვლევის მიზანიც სწორედ

აღნიშნული სხვაობის კონკრეტული კომპონენტების იდენტიფიცირებაში მდგომარეობს.

ზოგადად, ლიტერატურაში გამოიყოფა 5 ტიპის სოციალური საჭიროება, ესენია:

1.გაცნობიერებული საჭიროება - საჭიროება, რომელიც აღქმულია მიზნობრივი ჯგუფის წევრის მიერ, თუმცა შეიძლება იგი არ აცხადებდეს ამ საჭიროების შესახებ;

2.გამოთქმული/გამოხატული საჭიროება - საჭიროება, რომელიც გამოთქმულია პირის მიერ და იგი ცდილობს მის დაკმაყოფილებას;

3. ნორმატიული საჭიროება - საჭიროება, რომლის დაკმაყოფილება განსაზღვრულია სამართლებრივი აქტებითა და მთავრობის დადგენილებით;

4. შედარებითი საჭიროება - საჭიროება, რომელიც წარმოიქმნება ეკონომიკურად მაღალი განვითარების მქონე რეგიონში მცხოვრებ (მაგალითად დედაქალაქი) სამიზნე ჯგუფის წარმომადგენელსა და პერიფერიულ, დაბალგანვითარებად მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სამიზნე ჯგუფის წარმომადგენელს შორის;

5.ლატენტური საჭიროება - საჭიროება, რომლის აღქმაც არ აქვს მიზნობრივი ჯგუფის წევრს, თუმცა იგი არსებობს და გავლენას ახდენს როგორც კონკრეტულ პირზე, ასევე მთლიანად საზოგადოებაზე.

დღესდღეობით, უმრავლეს შემთხვევაში მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვა ეფუძნება გამოხატულ საჭიროებებს - მიმართვიანობას. ასეთი მიდგომა ვერ უზრუნველყოფს საჭიროებათა ფართე სპექტრის მოცვას.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სპეციფიკის გათვალისწინებით, საჭიროებების კვლევის პროცესის ეფექტიანად წარმართვისა და მიზნობრივი ჯგუფების საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით, საჭიროების კვლევისას რეკომენდებულია ფოკუსირება მოხდეს **სამი ძირითადი სახეობის საჭიროებაზე.** ესენია:

1.გაცნობიერებული საჭიროება - ინფორმაციის წყარო: მიზნობრივი ჯგუფი, თემი, სერვისის მიმწოდებელი.

2.გამოთქმული/გამოხატული საჭიროება - ინფორმაციის წყარო: მიზნობრივი ჯგუფი, სერვისის მიმწოდებელი, მუნიციპალიტეტის თანამშრომლები, სოციალურ საკითხებზე მომუშავე საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ღია წყაროებით გავრცელებული ინფორმაცია.

3.ნორმატიული საჭიროება - ინფორმაციის წყარო: სოციალური მომსახურების სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები

საჭიროებათა კვლევის შედეგად გამოვლინდება ინდივიდების და თემის საჭიროებები, გამომწვევი მიზეზები, პრობლემები, მოლოდინები, შესაძლებლობები, მოსალოდნელი შედეგები. გამოიკვეთება პრიორიტეტები, მათ ჭრილში გაანალიზდება უკვე არსებული პროგრამები და განისაზღვრება მომავალში დასაგეგმი/განსახორციელებელი აქტივობების მონახაზი.

3. საჭიროებათა კვლევის პროცესის აღწერა

3.1. <u>კვლევის მოსამზადებელი ეტაპი:</u>

3.1.1. პროცესის ინიცირების საფუძველი გახლავთ მერიის სოციალური სამსახურის უფროსის წერილობითი მიმართვა მერისთვის, მომავალი საბიუჯეტო წლის სოციალური პოგრამების სწორად დაგეგმვის მიზნით საჭიროებათა კვლევის ჩატარებას აუცილებლობაზე. მერისთვის მიმართვამდე, სოციალური სამსახურის უფროსი ატარებს ფოკუს-ჯგუფთან, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მერიის სოციალური სამსახურის, ბავშვის უფლებათა დაცვის განყოფილების, ბავშვის უფლებათა დაცვის სფეროში მომუშავე საჯარო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, მასწავლებლები, ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეხვედრის მიზანია, კონსულტაციის გამართვა ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებთან საკვლევი საკითხების და სამიზნე ჯგუფების იდენტიფიცირება ამ შეხვედრის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, სოციალური სამსახურის უფროსი აყალიბებს დამატებით არგუმენტაციას, საჭიროებათა კვლევის ჩატარების და სავარაუდო საკვლევი სამიზნე ჯგუფების შესახებ.

3.1.2. სოციალური სამსახურის უფროსის მიმართვის საფუძველზე, მერი გამოსცემს ბრძანებას, რითაც განისაზღვრება: ა) კვლევის მიზანი; ბ) მოცულობა და სამიზნე ჯგუფები; გ) სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და საქმიანობის წესი; გ) კვლევის ჩატარების ვადები და კალენდარი; დ) კვლევის მეთოდოლოგია (ბრძანების და სამუშაო ჯგუფის დებულების ნიმუშისთვის იხილიეთ დანართი #1)

3.1.3. სამუშაო ჯგუფი მოქმედებს კვლევის კალენდრის შესაბამისად, რომლშიც გაწერილია კვლევის მომზადების, ჩატარების, მონაცემთა ანალიზის, საჯარო განხილვისა და საბოლოო ანგარიშგებისას გასატარებელი ყველა ღონისძიება და ვადები.

მნიშვნელოვანია, რომ საჭიროებათა კვლევის კალენდარი დაიგეგმოს იმდაგვარად, რომ კვლევის ჩატარება და მუნიციპალური სოციალური პორგრამების დაგეგმვა წინ უსწრებდეს მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის შემუშავებას.

შენიშვნა: სასურველია, რომ საჭიროებათა კვლევის გეგმის შედგენისას სამიზნე ჯგუფებისა და დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებაზე, აღრიცხვაზე და ალტერნატიული მონაცემების ანალიზზე გათვალისწინებული იყოს არანაკლებ **45 დღე**, საველე სამუშაოებზე (ანუ კვლევის მონაწილეების უშუალო გამოკითხვაზე) გათვალისწინებული იყოს არანაკლებ **30 დღე**, ხოლო გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზზე გათვალისწინებული იყოს არანაკლებ **30 დღე** (კვლევის კალენდრის ნიმუშისათვის იხილეთ დანართი #2).

3.1.4. მოსამზადებელი ეტაპის მნიშვნელოვანი ნაწილია **წინასწარი საინფორმაციო კამპანია საჭიროებათა კვლევის შესახებ**. ინფორმაციის გავრცელება შესაძლებელია მუნიციპალიტეტში არსებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, სოციალური ქსელის, მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით.

მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი მოსახლეობისა და კვლევის სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებისთვის კვლევის დაწყების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, მერიის სოციალური სამსახურის თანამშრომლები და ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლები, აგრეთვე, მუნიციპალიტეტში არსებული თემატური სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

3.1.5. საჭიროებათა კვლევას ატარებს სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობა, საქმიანობის წესი, ვადები (კალენდარი) და ანგარიშვალდებულება დამტკიცებულია მერის ბრძანებით. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს მუნიციპალიტეტის მერის მიერ განსაზღვრული პირი. სამუშაო ჯგუფი კომპლექტდება მერიის სოციალური სამსახურის, ბავშვის უფლებათა დაცვის სტრუქტურული ერთეულის, იურიდიული და სხვა რელევანტური სამსახურის წარმომადგენლებისგან. რეკომენდებულია, ჯგუფის მუშაობაში ჩაერთონ სოციალურ საკითხებზე მომუშავე დამოუკიდებელი ექსპერტები და ბავშვთა უფლებების დაცვაზე მომუშავე არასამთავრობო სექტორიდან მოწვეული სპეციალისტები.

შენიშვნა: სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში არ შედიან მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები, თუმცა, ისინი მონაწილეობენ სამიზნე ჯგუფების მიხედვით ბენეფიციარების დადგენაში. აგრეთვე, მერის წარმომადგენლები სამუშაო ჯგუფის დავალებით და ზედამხედველობით უშუალოდ ატარებენ საველე სამუშაოებს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის ფარგლებში.

სამუშაო ჯგუფი იკრიბება პერიოდულად, საჭიროების მიხედვით, მაგრამ **არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ** (სამუშაო ჯგუფის დებულების ნიმუშისთვის იხილეთ დანართი #1).

რეკომენდაცია: რეკომენდებულია, რომ სამუშაო ჯგუფის საქმიანობის კოორდინაციისა და შესრულების კონტროლის მიზნით, ჯგუფის ხელმძღვანელმა შეიმუშაოს ჯგუფის მუშაობის გაფიკი, რომელშიც გაწერილი იქნება ჯგუფის პერიოდული შეხვედრები, სამუშაოს კონკრეტული ეტაპები, უშუალო შემსრულებლები, პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადები.

სამუშაო ჯგუფის წევრების გარდა, გრაფიკი უნდა აკონკრეტებდეს **ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის** მიერ შესასრულებელ შემდეგ სამუშაოებს: სამიზნე ჯგუფის წევრთა შესახებ მონაცემთა შეგროვება დასახლებების დონეზე, შეგროვებულ მონაცემთა აგრეგირება სტატისტიკურ ინფორმაციად ადმნისტრაციული ერთეულის დონეზე; ანკეტური გამოკითხვა რესპონდენტებთან და შევსებული ანკეტების გადაგზავნა სამუშაო ჯგუფისთვის;

3.1.6. **<u>საჭიროებთა კვლევის ჩატარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამიზნე ჯგუფების და დაინტერესებული მხარეების ზუსტად დადგენას..</u>**

სამიზნე ჯგუფები და დაინტერესებული მხარეები დგინდება კვლევის მიზნისა და მოცულობის საფუძველზე. საკვლევი სამიზნე ჯგუფების რაოდენობა და ჩამონათვალი

განისაზღვრება მუნიციპალიტეტის მერის ბრძნებით, ხოლო დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებას აკეთებს კვლევის სამუშაო ჯგუფი.

მნიშვნელოვანია: რეკომენდირებულია, რომ კვლევის სამიზნე ჯგუფები შეირჩეს შემდეგი ჩამონათვალიდან (შეგახსენებთ, რომ ძირითადი კვლევა უნდა ჩატარდეს ჩამონათვალში მოცემული მინიმუმ 5 სამიზნე ჯგუფის საჭიროებების შესასწავლად):

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი, მ.შ.:

1.1 შშმ სტატუსის მქონე;

1.2 არ მიუმართავს სტატუსის მისაღებად, მაგრამ სავარაუდოდ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს;

1.3 გავნითარების სირთულის მქონე ბავშვი;

2. მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვი, მ.შ.:

2.1 ობოლი ბავშვი;

2.2 მარჩენალდაკარგული ბავშვი;

2.3 მშობლის მიგრაციის გამო ნათესავებთან დროებით მცხოვრები ბავშვი;

3. მიუსაფარი ბავშვი, მ.შ.

3.1 ქუჩაში მცხოვრები ბავშვი;

3.2 ქუჩაში მომუშავე ბავშვი;

4. სახელმწიფო ზრუნვიდან რეინტეგრირებული ბავშვი;

5. ბავშვი ღარიბი ოჯახიდან, რომლის მშობელი/მეურვე არის შეზღუდული შესაძლებობის მქონე პირი;

6. ღარიბი ბავშვიანი ოჯახი, მ.შ.:

6.1 სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ბავშვი;

6.2 სოციალურად დაუცველის სტატუსის არმქონე, მაგრამ ღარიბი ოჯახის ბავშვი;

6.3 ღარიბი მრავალშვილიანი ოჯახი;

7. ტერიტორიული მოწყვეტილობის გამო განათლების და ჯანდაცვის სერვისებზე შეზღუდული წვდომის მქონე ბავშვი;

8. ძალადობის მსხვერპლი ბავშვი, მ.შ.:

შენიშვნა: ჩამონათვალში მოცემულია სამიზნე ჯგუფები და მათი შემადგენელი ქვეჯგუფები. მუნიციპალიტეტს შეუძლია არ შემოიფარგლოს აღნიშნული ჩამონათვალით და კვლევაში დამატებით შეიტანოს ახალი ჯგუფი/ქვეჯგუფი, რომელის შესწავლა მუნიციპალიტეტის ინტერესის სფეროს წარმოადგენს.

სამიზნე ჯგუფების განსაზღვრის შემდეგ, სამუშაო ჯგუფი ადგენს საკვლევ საკითხებზე დაინტერესებულ მხარეებს და ინფორმაციის ალტერნატიულ წყაროებს - სერვისების მიმწოდებლები, ექსპერტები, არასამთავრობო საექტორი, საჯარო სექტორი; სკოლამდელი, ზოგადი და პროფესიული განათლების სისტემის წარმომადგენლები და სხვა - ყველა ის დაწესებულება, საიდანაც შესაძლებელია საკვლევ საკითხებზე რელევანტური მონაცემების ან ინფორმაციის მიღება. ასევე, დაინტერესებული მხარეების წამომადგენელთა ფოკუს-ჯგუფი არის საჭიროებათა კვლევის კითხვარის დახვეწის ქმედითი ინსტრუმენტი.

3.1.7. კვლევის სამიზნე ჯგუფების განსაზღვრის შემდეგ იწყება სამიზნე ჯგუფების სტრუქტურის და რეპრეზენტაბელურობის გათვალისწინებით გამოკითხვის რესპონდენტების დადგენა. მონაცემების შეგროვება იწყება ერთდროულად ორი მიმართულებით:

ა) **სამუშაო ჯგუფის წევრები** საჯარო დაწესებულებებიდან გამოითხოვენ სტატისტიკურ

(რაოდენობრივ) ინფორმაციას თითოეული სამიზნე ჯგუფის, მ.შ. სამიზნე ჯგუფის სეგმენტების (ქვეჯგუფის) შესახებ.

ბ) ადმინისტრაციულ ერთეულში **მერის წარმომადგენელი** თავის სამოქმედო ტერიტორიაზე იწყებს სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლების აღრიცხვას. იგი ერთი მხრივ, ადგენს სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებს, მათი სოციოლოგიურ გამოკითხვაში ჩართვის მიზნით, ხოლო მეორე მხრივ, ცდილობს გამოავლინოს პირები და ოჯახები, რომლებიც არ ფლობენ შესაბამის სტატუსს, თუმცა სავარაუდოდ, შეიძლება აკმაყოფილებდნენ სტატუსის მიღების კრიტერიუმებს. (აღრიცხვის ფორმის ნიმუშისთვის იხილეთ დანართი #4).

მნიშვნელოვანია: დადგინდეს ბავშვების რაოდენობა ადმინისტრაციულ ერთეულში აღრიცხულ სამიზნე ჯგუფში და სოციალურად მოწყვლადი ბავშვიანი ოჯახების რაოდენობა.

სტატუსის არმქონე პირების და ოჯახების გამოვლენის შემდეგ, მერის წარმომადგენელი მათ უწევს კონსულტაციას და დახმარებას, შესაბამისი სტატუსის მინიჭების პროცედურების დასაწყებად.

შენიშვნა: აღნიშული მიდგომის უპირატესობებია - ხელს უწყობს მოწყვლადი ჯგუფების აღრიცხვიანობის მოწესრიგებას, ახლადსტატუსმინიჭებული პირები/ოჯახები ერთვებიან სახელმწიფო პროგრამებში; იმ შემთხვევაშიც, კი თუ სტატუსის მინიჭება ვერ ხერხდება, მუნიციპალიტეტს აქვს ზუსტი ინფორმაცია მუნიციპალური სოციალური პროგრამების პოტენციური ბენეფიციარების რაოდენობისა და მათი საჭიროებების შესახებ; ჩნდება შესაძლებლობა, კვლევის პროცესში თვისებრივი მეთოდით მიღებული მონაცემები მეტი სიზუსტით განვაზოგადოთ რაოდენობრივ ჭრილში.

მერის წარმომადგენლის მიერ სამიზნე ჯგუფების აღწერის/აღრიცხვის მონაცემები ჯამდება და ანალიზდება სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ.

3.2. <u>კვლევის ეტაპი:</u>

კვლევა ტარდება სამუშაო ჯგუფის მიერ შედგენილი სამუშაო გრაფიკის მიხედვით. კვლევის მოსამზადებელ ეტაპზე უკვე გამოკვეთილია სამიზნე და მოწყვლადი ჯგუფები, ჩატარებულია სამიზნე ჯგუფების აღწერა, მოძიებულია სტატისტიკური მონაცემები და გაკეთებულია ანალიზი; იდენტიფიცირებულია დაინტერესებული მხარეები.

3.2.1. შემდეგი ეტაპი მოიცავს ლიტერატურის კვლევას - ხდება საჯარო დაწესებულებებიდან და არასამთავრობო სექტორიდან გამოთხოვილი ანგარიშების, კვლევების გაცნობა, ყურადსაღები გარემოებებისა და მიგნებების გამოკვეთა.

3.2.2. სამართლებრივი ბაზის ანალიზი და ნორმატიული საჭიროებების იდენტიფიცირება - ნორმატიული საჭიროების იდენტიფიცირების მიზნით სამუშაო ჯგუფის წევრები (სოციალური სამსახურის და იურიდიული სამსახურის თანამშრომლები ერთობლივად), ეცნობიან და აანალიზებენ სამართელბრივ აქტებს, აღნუსხავენ სამიზნე ჯგუფის უფლებებსა და ამ უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებული მუნიციპალური სერვისების ჩამონათვალს, ნორმატივებსა და სტანდარტებს.

შენიშვნა: სამართლებრივი აქტების სარეკომენდაციო ჩამონათვალი მოცემულია კვლევის ჩატარების ინსტრუქციაში დანართი #3.

ინფორმაციის წყარო: სოციალური მომსახურების სფეროში არსებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, ნორმატივები და სტანდარტები; დემოგრაფიული და სოციალური ტენდენციის ანალიზი.

3.2.3. კვლევის საველე სამუშაოები (მონაწილეთა ანკეტური გამოკითხვა) ტარდება წინასწარ შედგენილი ანკეტის საფუძველზე, თითოეული სამიზნე ჯგუფის წევრის **გაცნობიერებული და გამოხატული/გამოთქმული საჭიროებების** დასადგენად.

გაცნობიერებული საჭიროება (percieved/felt need) - ინფორმაციის წყარო: სამიზნე ჯგუფის ანკეტური გამოკითხვა, სერვისის მიმწოდებელისგან მიღებული ინფორმაცია.

გამოთქმული/გამოხატული საჭიროება (expressed need) - ინფორმაციის წყარო: სამიზნე ჯგუფის ანკეტური გამოკითხვა, სერვისის მიმწოდებელისგან მიღებული ინფორმაცია, მუნიციპალური პროგრამების მიმართვიანობის სატსტისტიკა, სოციალურ საკითხებზე მომუშავე საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები, ღია წყაროებით გავრცელებული ინფორმაცია.

საჭიროებების გამოვლენისთვის ჩატარდება შემდეგი სამუშაოები:

1. საველე სამუშაოები - ანკეტური გამოკითხვა

ადმინისტრაციულ ერთეულში **მერის წარმომადგენელი,** საჭიროების გამოვლენის მიზნით, რეპრეზენტაბელურობის ზღვრის გათვალისწინებით შერჩეულ რენპონდენტებთან ინდივიდულაურად ატარებს ანკეტურ გამოკითხვას (ანკეტის ნიმუშებისთვის იხილეთ დანართი #5). მნიშნელოვანია, რომ გამოკითხვის პროცესში დაცული იყოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები (პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ინსტრუქციისთვის იხილეთ დანართი #6), გათვალისწინებული იყოს კვლევის ჩატარების ეთიკური პრინციპები და კვლევაში ბავშვების მონაწილეობის თავისებურებები. ამ დოკუმენტის #6 დანართში აღწერილი წესის დაცვით შევსებული ანკეტები ეგზავნება სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელს.

2. ალტერნატიული ინფორმაციის მოძიება და ანალიზი

პარალელურ რეჟიმში, **სამუშაო ჯგუფის წევრები** სამიზნე ჯგუფის სერვისის მიმწოდებლებისგან გამოითხოვენ მათ ხელთ არსებულ ინფორმაციას სამიზნე ჯუფების საჭიროების შესახებ. სამუშაო ჯგუფის წევრები შეისწავლიან მუნიციპალიტეტისთვის მიმართვის სტატისტიკას, საჯარო და არასამთავრობო სექტორიდან მიღებულ ინფორმაციას ბენეფიციარებისთვის მიწოდებუოლი სერვისის შესახებ. მიმართვიანობის სტატისტიკური ანალიზის შედეგად საჭიროებები დახარისხდება სამიზნე/მოწყვლადი ჯგუფებისა და საჭიროებათა ტიპების მიხედვით. მიმართვიანობის სტატისტიკით მიღებული ინფორმაცია დარდება ღია წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციასთან, დაკმაყოფილებული და დაუკმაყოფილებლი საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით. შედეგები შეიტანება პირველად ანგარიშში.

3.2.4. მიღებული ინფორმაციის და მონაცემების ანალიზი - კვლევითი სამუშაოების ამ ეტაპზე ხდება შეგროვილი ინფორმაციის სისტემატიზაცია, დახარისხება და შეჯამება მოწყვლადი ჯგუფების, საჭიროებათა სახეების და საჭიროებათა ნუსხის მიხედვით. ასევე, ხდება ანკეტური გამოკითვის მეთოდით მიღებული ინფორმაციის დაჯგუფება, ცალკეული ქვეჯგუფების საჭიროებათა გამოკვეთა, ამ საჭიორებათა ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნების განზოგადება. ასევე, აღიწერება თითოეული საჭიროება მათი გამომწვევი მიზეზები და შემუშავდება რეკომენდაციები ამ საჭიროებებზე მორგებული მუნიციპალური სოციალური პოლიტიკის შექმნისთვის.

3.2.5. მონაცემების დამუშავების შემდეგ, საჭიროებათა პრიორიტეტების განსაზღვირს მიზნით ტარდება ფოკუს-ჯგუფი დაინტერესებული მხარეებისა და სამიზნე ჯგუფების მონაწილეობით. ფოკუს-ჯგუფის შეხვედრისას მონაწილეები ეცნობიან კვლევის მიგნებებს და გამოკვეთენ პრიორიტეტულ მიმართულებებს. პრიორიტეტები აისახება პირველად ანგარიშში.

3.2.6. დასკვნით ეტაპზე შეიქმნება საჭიროებათა კვლევის პირველადი ანგარიში, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამისი სტრუქტურა (ანგარიშის სტრუქტურისთვის იხილეთ დანართი #7).

3.3. <u>პირველადი ანგარიშის საჯარო განხილვის ეტაპი:</u>

3.3.1. საჭიროებათა კვლევის შედეგების გაცნობა დაინტერესებული მხარეებისთვის, საჯარო განხილვა და საბოლოო ანგარიში: პირველადი ანგარიშის შედგენის შემდეგ მნიშვნელოვანია კვლევის შედეგების განხილვა სამიზნე ჯგუფების, სამოქალაქო საზოგადოების, სოციალურ სფეროში მოღვაწე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან. ასევე, მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭოსთან. საჯარო განხილვა შედგება ორი ეტპისგან:

- პირველ ეტაპზე ხდება ანგარიშის პროექტის განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან. საჯარო განხილვის პროცესში მონაწილეობის უფლება უნდა მიეცეს ყველა დაინტერესებულ მხარეს.
- საჯარო განხილვის მეორე ეტაპზე ანგარიშის პროექტი, ასევე დაინტერესბულ მხარეებთან განხილვის შედეგები წარედგინება მერის მრჩეველთა საბჭოს. დოკუმენტის საჯარო განხილვის ორივე ეტაპზე გამოთქმული არგუმენტირებული შენიშვნები აისახება კვლევის საბოლოო ანგარიშში.

3.4. <u>საბოლოო ანგარიშის მიღება:</u>

საჭიროებათა კვლევის საბოლოო ანგარიშს განიხილავს სამუშაო ჯგუფი შემაჯამებელ სხდომაზე და იღებს დოკუმენტს საოქმო ჩანაწერის საფუძველზე. მიღებული დოკუმენტი და სამუშაო ჯგუფის დასკვნითი სხდომის ოქმი წარედგინება მერს.

4. <u>საჭიროებათა კვლევის ანგარიშის საჯაროობა</u>

საჭიროებათა კვლევის ანგარიში ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. კვლევის შედეგად გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირების მიზნით, ანგარიშის მიგნებები გათვალისწინებული უნდა იყოს მუნიციპალური სოციალური დახმარების პროგრამების დაგეგმვისას.

დანართი N3

საჭიროებათა კვლევის ეტაპების კალენდარი (სავარაუდო)

საქმიანობის ეტაპი	**ხანგრძლივობა**	**ვადა**
საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის პირველი სხდომა, ფუნქციების განაწილება		1 ივლისი
საინფორმაციო კამპანია	პერიოდულად	1 ივლისი - 9 სექტემბერი
საჭიროებათა კვლევა (სრული ციკლი) მათ შორის:	11 კვირა	1 ივლისი - 9 სექტემბერი
1. მონაცემთა მოძიება და ანალიზი	5 კვირა	1 ივლისი - 1 აგვისტო
1.1.სტატისტიკური მონაცემების მოძიება და ანალიზი		1 ივლისი - 1 აგვისტო
1.2.სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლების გამოვლენა/იდენტიფიკაცია საჭროებათა კვლევაში მათი ჩართვის მიზნით; დაინტერესებული მხარეების იდენტიფიგაცია		1 ივლისი - 1 აგვისტო
2. ლიტერატურის კვლევა	2 კვირა	1 ივლისი - 11 ივლისი
3. სოციოლოგიური კვლევა	4 კვირა	6 ივლისი - 24 ივლისი
3.1.სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლებთან (რესპონდენტებთან) ინტერვიუ, შეხვედრა, ფოკუს-ჯგუფი		6 ივლისი - 18 ივლისი
3.2.საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი		6 ივლისი - 11 ივლისი
4. მონაცემთა დახარისხება, დაკვირვება და შემთხვევათა ანალიზი	2 კვირა	6 აგვისტო - 09 აგვისტო
5. საჭიროებათა კვლევისას მიღებული მონაცემების დამუშავება და ანალიზი	3 კვირა	09 აგვისტო - 15 აგვისტო
6. კვლევის მიგნებების საფუძველზე პრიორიტეტების გამოვლენა ფოკუს-ჯგუფის საშუალებით	1 კვირა	15 აგვისტო - 22 აგვისტო
7. საჭიროებათა კვლევის პირველადი ანგარიშის საჯარო განხილვა	1 კვირა	22 აგვისტო - 26 აგვსიტო
8. საჭიროებათა კვლევის საბოლოო ანგარიში	1 კვირა	26 აგვისტო - 31 აგვისტო

მანანა ნარიმანიძე

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი